საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №63
2018 წლის 3 აგვისტო

ქ. თბილისი

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 15 იანვრის №1 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და 24-ე მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 15 იანვრის №1 ბრძანებით (ვებგვერდი, 16/01/2018, სარეგისტრაციო კოდი: 280120000.22.026.016549) დამტკიცებულ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის პირობებში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისთვის – ადმინისტრაციული ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობით და ამ ბრძანებით დადგენილი კრიტერიუმებით განსაზღვრული დანამატისგან;“.

2. მე-16 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სამშვიდობო საქმიანობის განხორციელებისას, ასევე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულთა ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახის წევრების (სამოქალაქო პირებისა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების) ყოველთვიური დანამატები (დანართი №6);“.

3. დანართი №6 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №6

სამშვიდობო საქმიანობის განხორციელებისას, ასევე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულთა ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახის წევრების (სამოქალაქო პირებისა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების) ყოველთვიური დანამატები

(ლარებში)

№	თანამდებობა	დანამატი თვეში

1	განყოფილების უფროსი, მინისტრის მოადგილის თანაშემწე, მთავარი ინსპექტორი, მთავარი სპეციალისტი, უფროსი სპეციალისტი, სპეციალისტი, ინჟინერი, მუსიკოსი, სტილისტი, ფორტიფიკატორი, მეკუჭნავე, არქივარიუსი, აფთიაქის უფროსი, მთავარი ინსტრუქტორი, ინსტრუქტორი, საავიაციო შეიარაღების მექანიკოსი	180
2	ბიბლიოთეკარი, მედდა, სანიტარი, მზარეული, მზარეულის დამხმარე, უფროსი მზარეული, ავტო-ელექტრიკოსი, მეთუნუქე, პასუხისმგებელი შემსრულებელი, მძღოლი, ავტობუსის მძღოლი, მძღოლი-მექანიკოსი, სამხედრო მოძღვარი (კაპელანი), საწყობის უფროსი, ოსტატი, საქმისმწარმოებელი, ადმინისტრატორი, ოპერატორი, აღმრიცხველი, მეკუჭნავე-მექანიკოსი, აღრიცხვის ინსპექტორი, ტვირთების დამმუშავებელი, რადიოოპერატორი, სანტექნიკოსი	380

შენიშვნა:

1. ამ დანართის მიზნებისათვის ოჯახის წევრებს წარმოადგენენ: მეუღლე, შვილ(ებ)ი, და, ძმა და მშობლები.

2. ამ დანართის მოქმედება ვრცელდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისის, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის და სახმელეთო ჯარების სამოქალაქო პირებზე და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებზე.“.

მუხლი 2
ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2018 წლის 1 ივლისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი **ლევან იზორია**